

სექტორის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის ბიუჯეტი


10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტის მიხედვით, 14.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა ასიგნებები. აქედან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე (MEPA) მოდის 353 მილიონი ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 2.4%), ხოლო უშუალოდ სოფლის მეურნეობის მიმართულებით სამინისტრო დაახლოებით 293 მილიონ ლარს დახარჯავს (მთლიანი ბიუჯეტის 2.0%), ხოლო 60 მილიონი ლარი გარემოს დაცვის მიმართულებას მოხმარდება (მთლიანი ბიუჯეტის 0.4%).

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს სოფლის მეურნეობის მიმართულებით ბიუჯეტი მთლიანობაში 4%-ით იზრდება. რაც შეეხება მიმართულებებს, ზრდა ფიქსირდება სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (SRCA), სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ARDA) და საქართველოს მელიორაციის მიმართულებით, ხოლო მცირედით იკლებს სურსათის ეროვნული სააგენტოს (NFA), სამინისტროს ცენტრალური აპარატის და ღვინის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტები.

მოუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის გადანაწილება მცირედით შეიცვალა, როგორც წინა წლებში, 2020 წელსაც უმსხილესი მიმართულებებია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო - ARDA (143 მილიონი ლარი), საქართველოს მელიორაცია (76 მილიონი ლარი) და სურსათის ეროვნული სააგენტო - NFA (41 მილიონი ლარი). სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (ARDA) გააგრძელებს დაახლოებით 10 სხვადასხვა პროგრამის დაფინანსებას, რომელთა შორის უმსხვილესია შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი 74 მილიონი ლარით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA) შეუერთდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს.

ასევე, სამინისტრო 2.4 მილიონ ლარს გამოყოფს მიწის მართვის ეროვნული სააგენტოს დასაფუძნებლად. კერძოდ ეს მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, სადაც 70 ადამიანი დასაქმდება, პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში მიწის ბალანსის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის ჩამოყალიბებაზე.

სოფლის მეურნეობის წილი სამინისტროში, აქტივობების მიხედვით ჩაშლილი (მლნ. ლარი, 2017-2019 წწ.)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის წილი ბიუჯეტში დათვლილია ავტორების მიერ




ფასები

ადგილობრივი ფასები


2019 წლის სექტემბერი-ნოემბერში თვიურ ჭრილში ფასების დონე საქართველოში მზარდი ტრენდით ხასიათდებოდა. 2019 წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) 0.9%-ით გაიზარდა 2019 წლის ოქტომბერთან შედარებით.

იმავე პერიოდში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც მზარდი ტრენდი შეინიშნა. 2019 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით სურსათის ფასების ინდექსი 1.2%-ით გაიზარდა, რამაც სფი 0.41 პროცენტული პუნქტით გაზარდა.

სამომხმარებლო ფასების ცვლილება წინა თვესთან შედარებით



სურსათის ფასების ცვლილება წინა თვესთან შედარებით




წყარო: საქსტატი, 2019; შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მნიშვნელობა არის 100.

2019 წლის სექტემბერი-ნოემბერში სფი იზრდებოდა წლიურ ჭრილშიც. 2019 წლის ოქტომბერში სფი 2018 წლის ოქტომბერთან შედარებით 6.9%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის ნოემბერში წლიურმა ინფლაციამ მოცემული პერიოდის მაქსიმალურ მაჩვენებელს (7.0%) მიაღწია.

2019 წლის ნოემბერში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 2018 წლის ნოემბერთან შედარებით 13.4%-ით გაიზარდა, რამაც სფი 4.02 პროცენტული პუნქტით გაზარდა. მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სურსათის შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:

სამომხმარებლო ფასებისა და სურსათის ფასების ინდექსების წლიური ცვლილება



ხილი და ყურძენი (30.2%[†])

ბოსტნეული და ბალჩეული (16.2%[†])



რძე, ყველი და კვერცხი (15.4%[†])

თევზი (14.5%[†])



წყარო: საქსტატი, 2019


უფრო ვრცლად ხილისა და ყურძნის ფასებზე

2019 წლის სექტემბერი-ნოემბერში ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფში ფასების შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა. 2019 წლის ნოემბერში, ამ ქვეჯგუფის ფასები მკვეთრად 30.2%-ით გაიზარდა.

ასეთი მკვეთრი ზრდის მიზეზი შესაძლოა, მიწოდების დეფიციტი ყოფილიყო. ქართული ლარის გაუფასურებამ უცხოურ ბაზარზე ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა გააუმჯობესა, რამაც ხილის ექსპორტის როგორც რაოდენობის, ისე ღირებულების ზრდა გამოიწვია. 2019 წლის სექტემბერი-ნოემბერში ხილისა და ყურძნის ექსპორტის რაოდენობა 32%-ით გაიზარდა, ხოლო ღირებულება 89%-ით (MoF, 2019).


იმავ პერიოდში, ვაჭრობის სტატისტიკის მიხედვით ხილისა და ყურძნის იმპორტი 7%-ით გაიზარდა, ხოლო შესაბამისი ღირებულება, აშშ დოლარში გამოხატული, 27%-ით შემცირდა. როგორც ჩანს, ქართული ლარის გაუფასურებამ ხილისა და ყურძნის ექსპორტი წაასახალისა, რამაც ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების დეფიციტი შექმნა. ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ქვეყანამ იმპორტზე უფრო მეტი ხილი შემოიტანა, რომელიც ვალუტის გაუფასურების გამო უფრო ძვირი იყო, რაც ხილის ფასების ზრდაზე აისახა. ხილის ბაზარზე არსებული ტრენდის სრულყოფილი სურათისთვის აუცილებელია ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლები, რაც ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

ხილისა და ყურძნის ექსპორტის რაოდენობა და ღირებულება



წყარო: MoF, 2019


ხილისა და ყურძნის იმპორტის რაოდენობა და ღირებულება



საერთაშორისო ფასები

2019 წლის ნოემბერში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2018 წლის ნოემბერთან შედარებით მნიშვნელოვნად, 9.5%-ით გაიზარდა. ფასების ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ზრდამ შემდეგ ჯგუფებში: მცენარეული ზეთი (20.2%), ხორცი (17.2%) და რძის პროდუქტები (9.5%). მცენარეულ ზეთზე ფასების ასეთი მკვეთრი ზრდის მიზეზი იყო მთავარ მწარმოებელ ქვეყნებში წარმოების შემცირება, რასაც მიწოდების შემცირება მოჰყვა. რაც შეეხება ხორცს, ფასების ზრდის მთავარი მიზეზი შემცირებული ექსპორტი იყო გაზრდილ მოთხოვნასთან ერთად, განსაკუთრებით ჩინეთიდან.

საერთაშორისო ფასების წლიური ცვლილება




წყარო: FAO, 2019


TRADE HIGHLIGHTS

იანვარი-ნოემბერში საქართველოს მთლიანი ექსპორტი გაიზარდა 11.7%-ით (3,027 მლნ. აშშ დოლარიდან 2018 წელს 3,381 მლნ. აშშ დოლარამდე 2019 წელს). მთლიანი ექსპორტის ზრდის ფონზე, აგრო ექსპორტი შემცირდა 7.5%-ით იგივე პერიოდში. რაც შეეხება იმპორტს, ორივე: მთლიანი და აგრო იმპორტი, შემცირდა წინა წელთან შედარებით. მთლიანი იმპორტი შემცირდა 2.3%-ით, ხოლო აგრო იმპორტი - 9.3%-ით. აგრო იმპორტში შემცირება შეიძლება აიხსნას ლარის გაუფასურებით მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტასთან, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში. 2019 წელს ლარი გაუფასურდა 4%-ით თურქული ლირის მიმართ, 17%-ით - რუსული რუბლის და 11% და 8%-ით შესაბამისად აშშ დოლარისა და ევროს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის გაუფასურება როგორც წესი დადებითად აისახება ექსპორტზე, როგორც ყვევ აღნიშნა, ექსპორტის ზრდა არ დაფიქსირებულა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების და მთლიანი ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)



სოფლის მეურნეობის პროდუქტების და მთლიანი იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, 2019; შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს საკვებ პროდუქტებს

პოლიტიკის მიმოხილვა

მთავრობამ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია დაამტკიცა

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია შეიქმნა არსებული სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლის განვითარების სტრატეგიების ანალიზის, განხორციელებული პროგრამების/რეფორმების შედეგების და ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე. ახალ სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებასთან. (ამ სტრატეგიის მოკლე ანალიზი იხილეთ ჩვენი აგრო მიმოხილვის წინა გამოშვებაში: http://iset-pi.ge/images/AGRIndex/2019_AgriReview_October_Geo.pdf)

მეტი ინფორმაციისთვის: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/11792/>

USAID სახელმწიფოს ნერგის სერტიფიცირების საკითხებში დაეხმარება

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნერგის სერტიფიცირების პროცედურების დახვეწაში დაეხმარება. სამუშაო შეხვედრაზე, ნერგის სერტიფიცირების კუთხით სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, საკანონმდებლო ბაზაზე და სამომავლო გეგმებზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი შესაბამისი სააგენტოების წარმომადგენლებმა იმსჯელეს. USAID-ის პროგრამა, რომელიც სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციაში ხელშეწყობას და სპეციალისტების გადამზადებას გულისხმობს, სანერგე მეურნეობების ფინანსურ მხარდაჭერასაც მოიცავს.

მეტი ინფორმაციისთვის: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/11798/>

ასიეტის კვლევითი ინტიტუტი (ISET Policy Institute)
აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი (APRC)
<http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc>

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
ირაკლი (რატი) კოჭლამაშვილი i.kochlamazashvili@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge